სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

საერთო კრების ოქმი

14 ნოემბერი, 2021 წელი

კრების ჩატარების ადგილი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.
მისამართი: თბილისი, წინანდლის ქუჩა N9.

დღის წესრიგი:

1. წევრთა რეგისტრაცია და საერთო კრების გახსნა.
2. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა.
3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენა.
4. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიშის წარდგენა.
5. ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიშის წარდგენა.
6. ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობის გარანტიების თაობაზე საერთო კრების რეზოლუციის განხილვა და დამტკიცება.
7. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება.
8. სტაჟირების ხელმძღვანელ (მენტორ) ადვოკატთა დაჯილდოება.
9. საერთო კრების შეჯამება.

საკითხი 1. წევრთა რეგისტრაცია და საერთო კრების გახსნა

2021 წლის 14 ნოემბერის საერთო კრების რეგლამენტის (შემდგომში - რეგლამენტი) თანახმად, წევრთა რეგისტრაცია დაიწყო 11:00 საათზე და რეგისტრაციის დასრულებისას - 12:00 საათზე, საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და რეგლამენტის 4.5 პუნქტის თანახმად, კვორუმის არარსებობის გამო, თავმჯდომარემ გამოაცხადა ხელახალი რეგისტრაცია განმეორებითი საერთო კრებისათვის, რომელიც დაიწყო 12:15 საათზე და გაგრძელდა 13:00 საათამდე. 13:00-ზე რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა - 253 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" 24-ე მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად, განმეორებითი საერთო კრება უფლებამოსილია, რის საფუძველზეც ასოციაციის თავმჯდომარემ კრება გახსნილად გამოაცხადა.

13:10 საათზე საერთო კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - დავით ასათიანის მისასალმებელი სიტყვით.

საკითხი 2. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა

ასოციაციის წესდების შესაბამისად ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ შემდეგი ადვოკატები: ნინო მაისურაძე, მაია ჩიხრაძე, ნიკა სადრაძე, დავით ჭიკაიძე, ლოლა კურკუმული, სოფო ჯაფარიძე, ანა ჯალაღონია, ეკატერინე ჩილინდრიშვილი, ანა კოტეტიშვილი, სალომე ბეჟაშვილი, მარინა ძამსაშვილი, ლაშა ცუცქირიძე, ეკა ლომიძე, ნათია თავზარაშვილი და სესილი ქადარია.

მოცემულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი, შემდეგი შემადგენლობით: ნინო მაისურაძე, მაია ჩიხრაძე, ნიკა სადრაძე, დავით ჭიკაიძე, ლოლა კურკუმული, სოფო ჯაფარიძე, ანა ჯალაღონია, ეკატერინე ჩილინდრიშვილი, ანა კოტეტიშვილი, სალომე ბეჟაშვილი, მარინა ძამსაშვილი, ლაშა ცუცქირიძე, ეკა ლომიძე, ნათია თავზარაშვილი და სესილი ქადარია. რეგლამენტის თანახმად, ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, **კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა - სალომე ბეჟაშვილი, ხოლო ხმის დამთვლელი კომისიის მდივნად - დავით ჭიკაიძე.**

საკითხი 3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენა

ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2017-2021 წლის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიშის წარდგენა

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, თორნიკე ბაქრაძემ კრებას წარუდგინა ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ 2017-2021 წლის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიშის წარდგენა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, დავით ახალაურმა კრებას წარუდგინა სარევიზიო კომისიის ანგარიში 2017-2021 წლის პერიოდში გაწეული საქმიანობისა და ასოციაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

საკითხი 6. ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობის გარანტიების თაობაზე საერთო კრების რეზოლუციის განხილვა და დამტკიცება

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობა წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტურ ღირებულებას და ქვაკუთხედს, რაც განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. ამდენად, მიზანშეწონილია, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე, ასოციაციის უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე ორგანომ - ასოციაციის საერთო კრებამ, სპეციალური რეზოლუციით მიმართოს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პროკურატურას სათანადო ღონისძიებების გასატარებლად.

თავმჯდომარემ, კრებაზე დამსწრე წევრებს, გააცნო რეზოლუციის პროექტი. განხილვის შედეგად, წევრთა მიერ გამოთქმული შენიშვნების საფუძველზე, დაზუსტდა რეზოლუციის ტექსტი, რომლის საბოლოო ვერსიის დამტკიცების საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დამტკიცდეს რეზოლუცია ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობის გარანტიების თაობაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1) და გაეგზავნოს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პროკურატურას.

საკითხი 7. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება

კრების თავმჯდომარემ საერთო კრებას გააცნო "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც წინასწარ განთავსებული იყო ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gba.ge). კრების თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, წესდებაში შესატანი ცვლილებების მუხლობრივად განხილვა და თითოეული მუხლის დამტკიცება ღია კენჭისყრით.

წესდებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, წევრებს შორის გაიმართა მსჯელობა, რის შემდეგაც ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტის თითოეული მუხლი დადგა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-3 მუხლში შესატან ცვლილებაზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად (მომხრე - 219, წინააღმდეგი - 0) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-3 მუხლში შესატანი ცვლილება კრებაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

(ბ) ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ", „დ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებში შესატან ცვლილებებზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად (მომხრე - 219, წინააღმდეგი - 0) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ", „დ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებში შესატანი ცვლილებები კრებაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

(გ) ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტში შესატან ცვლილებებზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 218, წინააღმდეგი - 1), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ასოციაციის წესდების მე-12 მუხლის მე-

2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებები კრებაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

(დ) ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-13 მუხლში 13.7[1]. პუნქტის დამატების შესახებ ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 217, წინააღმდეგი - 2), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-13 მუხლს დაემატოს 13.7[1]. პუნქტი კრებაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

(ე) ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-13[1] მუხლის მე-4 პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 218, წინააღმდეგი -1), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-13[1] მუხლის მე-4 პუნქტში შევიდეს ცვლილება კრებაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

(ვ) ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-17 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში (17.1. და 17.2.) შესატან ცვლილებებზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 218, წინააღმდეგი -1), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-17 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში (17.1 და 17.2) შევიდეს ცვლილებები კრებაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

საკითხი 8. სტაჟირების ხელმძღვანელ (მენტორ) ადვოკატთა დაჯილდოება

კრების თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე, სტაჟირების ხელმძღვანელ (მენტორ) ადვოკატთა მხარდაჭერით, პროფესიული ადაპტაციის პროგრამა წარმატებით დაასრულა 1107-მა მონაწილემ, საიდანაც 420 უკვე გაწევრიანდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ასოციაციის თავმჯდომარემ სტაჟირების ხელმძღვანელ (მენტორ) ადვოკატებს, მენტორი ადვოკატის საპატიო მოვალეობის წარმატებით განხორციელებისა და ადვოკატთა ახალი თაობის პროფესიული განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო სიგელები გადასცა.

საკითხი 9. საერთო კრების შეჯამება

კრების თავმჯდომარემ შეაჯამა საერთო კრება და აღნიშნა, რომ საერთო კრება გაიმართა ასოციაციის წესდებისა და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგლამენტის თანახმად.

17:00 საათზე კრების თავმჯდომარის მიერ კრება დახურულად გამოცხადდა.

დანართი 1. ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობის გარანტიების თაობაზე საერთო კრების რეზოლუცია.

დანართი 2. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შეტანილი ცვლილებები.

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

დანართი 1

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების რეზოლუცია

ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების გარანტიების თაობაზე

თბილისი, 14 ნოემბერი, 2021

ვინადიან კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობა და მათი კომუნიკაციის კონფიდენციალობა საადვოკატო საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს,

ვინაიდან პროფესიული საიდუმლოების დაცვა ადვოკატის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება და ვალდებულებაა, რაც განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით,

ვინაიდან ადვოკატი საჯარო ფუნქციის მატარებელი სუბიექტია, რომელსაც განსაკუთრებული როლი გააჩნია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რისთვისაც ადვოკატი სარგებლობს სამართლებრივი დაცვის მაღალი სტანდარტით,

ვინაიდან ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და ექვემდებარება გაუმჟღავნებლობის აბსოლუტურ პრივილეგიას, გასული დროის მიუხედავად,

ვინაიდან ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული ნებისმიერი კომუნიკაცია ხელშეუხებელია (მათ შორის ტელეფონით და სხვა ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობით) და მისი რაიმე ფორმით შეზღუდვა წარმოადგენს ადვოკატის საქმიანობაში დანაშაულებრივ ჩარევას და ხელშეშლას,

ვინაიდან ბოლო პერიოდში გახშირდა მცდელობა, რომ ადვოკატი დაავალდებულონ ამა თუ იმ

ფორმით გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში და ამასთან, მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის ჩაწერისა და მიყურადების შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებით,

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება მოუწოდებს:

საქართველოს პარლამენტს:

(ა) დროულად მოხდეს ადვოკატთა ასოციაციის მიერ წარდგენილი „ადვოკატთა შესახებ“ კანონში შესატანი იმ ცვლილებების პაკეტის განხილვა, რომელიც შექმნის ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობის დამატებით გარანტიებს;
(ბ) განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის 1-ელი „ა“ პუნქტის იმგვარი ცვლილება, რომლითაც ადვოკატს არ დაეკისრება **„მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.“**

საქართველოს პროკურატურას:

მოახდინოს დროული რეაგირება მედია საშუალებებით გავრცელებულ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის უკანონოდ ჩაწერის და მიყურადების თითოეულ ფაქტზე, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება და შესაბამისი პირების პასუხისგებაში მიცემა.

დანართი 2

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შეტანილი ცვლილებები

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში (საერთო კრების მიერ საბოლოო რედაქციით მიღებული 2018 წლის 23 დეკემბერს) შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასოციაციის ადგილსამყოფელია: ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11, თბილისი, საქართველო, 0108.“

2. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

„12.2. საერთო კრება:

ა) დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის წესდებას (წესდების ახალ რედაქციას) და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს;

დ) ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს;

ე) დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს და “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულებას;

ზ) დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით აწესებს ფიქსირებულ საწევრო გადასახადის ოდენობას.“

3. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში შევიდა შემდეგი ცვლილება:

„12.2. საერთო კრება:

ლ) ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას, 15 წევრის შემადგენლობით. ხმის დამთვლელი კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, არჩეულად ჩაითვლება ასოციაციაში უფრო ადრე გაწევრიანებული კანდიდატი.“

4. მე-13 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 13.7¹. მუხლი:

13.7¹. პანდემიის ან სხვა განსაკუთრებული ვითარების არსებობისას, საერთო კრების გამართვა და კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება განხორციელდეს წევრთა დისტანციური დასწრებით (სპეციალური ვებ-პლატფორმის/ელექტრონული პორტალის მეშვეობით), გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული ფარული კენჭისყრით მისაღები გადაწყვეტილებებისა. წევრთა დისტანციური დასწრებით საერთო კრების გამართვის წესი და პროცედურები განისაზღვრება საერთო კრების რეგლამენტით.

5. მე-13¹ მუხლის მე-4 პუნქტში შევიდა შემდეგი ცვლილება:

13¹.4. წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კანდიდატების ნომინირება დაუშვებელია.

6. მე-17 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

„17.1. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან, კანონითა და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

17.2. უკეთესი შედეგის მქონე თანაბარი რაოდენობის ხმათა მიმღებ კანდიდატებს შორის არაუგვიანეს 14 დღის განმავლობაში იმართება კენჭისყრის მეორე ტური. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატზე მეტ ხმას.“